16

კვირა, 27 აპრილი 1930 წ., № 16 (252) წელიწადი მეშვიდე. ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

## სპეციალური ქუთაისის

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей

12 557



— მამილო, ამ სურათზე ჩვენი სოფელია დახატული?
— ჩვენი სოფელი კი არა, ქუთაისია შვილო, ათი წლის წინანდელი ქუთაისი.

# „თავდასხმა" ქუთაისზე

„მაშ ასე, ამხანაგებო, ხვალ დილით ქუთაისში ვიქნებით, ჩვენები სადგურზე დაგვხვდებიან და დილიდანვე შეუდგებით ქალაქზე თავდასხმას". მოგვმართა ტარტაროზმა თავის უახლოეს თანამშრომლებს, როცა ფოთისაკენ მიმავალ მატარებლის ვაგონში ჩავჯექით.

მცხეთას რომ გავცილდით ზოგიერთ ჩვენგანს . ძილი მოერია. ცოტა ხნის შემდეგ კი ყველას გვეძინა.

„პერესიადკა ნა კუტეის" ისმოდა კონდუქტორის ბოხი ხმა.

— „მოემზადეთ, მოემზადეთ! გაისმა ტარტაროზის ბრძანება. ვაგონიდან რიონის ბაქანზე გამოვედით. მეორე ლაინდაგზე ქუთაისის მატარებელი იდგა. რომლის „ობერმა" უცხოელებათ მიგვიღო და თავაზიანი კილოთი მოგვმართა:

— ჩვენ ქუთაისელები სულ სხვა ხალხი ვართ, ალბათ თქვენც კარგათ გვიცნობთ. ჩვენ არ გვიყვარს რბილ ვაგონებში ჯდომა. რბილი არაფერი არ ვარგა. ჩვენი მაგარი ვაგონები „მეჟდუნაროდნიასაც" კი სჯობია. შემობრძანდით და თვითონ დარწმუნდებით. და ის ბოდიშის მოხდით შეგვყვა ვაგონში.

— ბიჭოს, ეს მაგარი კი არა რბილი ვაგონი ყოფილა! წამოიძახა დონმა.

— ვინაა ნეტაი აი უზრდელი? გაისმა ქალის შეწუხებული ხმა.

ვაგონში ბნელოდა, ადგილები წინდამ.. დაეკავებიათ მგზავრებს. დონს ვერ შეემჩნია მჯდომარე ქალი და...

მატარებელი ქუთაისისაკენ დაიძრა. სადგურზე ადგილობრივი ტარკორები ჩამწკვრივებულიყვენ და გველოდებოდენ.

ჩვენ ერთმანეთს მივესალმეთ.—ამხანაგებო, მიმართა მათ ტარტაროზმა, ჩვენი მიზანი თქვენ კარგათ იცით, დღესვე ქუთაისს თავს უნდა დავესხათ. ორ-სამ დღეში ქალაქი უნდა გავწმინდოთ „მავნებლებისაგან", იცოდეთ ბრძოლა გადამწყვეტი იქნება. ქუთაისის „მავნებლებს" მუსრი უნდა გავავლოთ.

„პირი სოფლისაკენ" ჩვენი დროის დიადი ლოზუნგია, რომელსაც ენტუზიაზმით ვატარებთ ცხოვრებაში.

ჩვენი დამკვრელი ბრიგადები და მსუბუქი კავალერიები ცნობილია საბჭოთა კავშირში, მაგრამ ჩვენი მუშაობა სოფლების ფარგლებში არ ამოიწურება. ამჟამად თავდასხმას ვახდენთ პროვინციის ქალაქებზედაც. პირველ ნიშანში ქუთაისი ამოვიღეთ და ეს იმიტომ რომ ქუთაისი საქართველოს მეორე ქალაქია, რომელსაც წარსულში დიდი ქირ-ვარამი გადაუტანია, მტრები ცეცხლით და მახვილით ანადგურებდენ მას. ქუთაისს დღესაც უღვივის გულში ცეცხლი, მაგრამ ეს სულ სხვა ცეცხლია—ჩვენი აღმშენებლობის და წინსვლის. ზოგს ისიც უკვირს, თუ ქალაქ ბაქოს „ქართა ქალაქს" ეძახიან, რატომ ქუთაისს „ცეცხლის ქალაქს" არ ვეძახით.

და ახე, ამხანაგებო, საჭიროა ქხლავე შეუდგეთ საქმეს. დაყოვნება არ გვარგებს. იყავით მხნეთ და მედგრათ!

სადგურიდან ქალაქის ცენტრისაკენ გავსწიეთ. წინ მიგვიძღოდენ ადგილობრივი ამხანაგები. სტრატეგიული მიზნით ქუთაისში ჩვენი ჩასვლა არავის არ უნდა სცოდნოდა. ქუჩაში მოქეიფე ყმაწვილები შეგვხვდენ, წინ გადაგვიდგენ, და გვთხოვეს: „უცნოელები უნდა იყოთ", დაგვეპატიჟეთ „თიო-თიო" გადავკრათ!

ჩვენ მადლობა გადაუხადეთ და მათ ძლივს დაუძვერით. ჩვენი შტაბი განათლების მუშაკთა კავშირის ბინაზე მოვათავსეთ.

— ამხანაგებო!—გაისმა კვლავ „ტარტაროზის" ხმა,

ეხლა მე მინდა გაგაცნოთ, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ ქალაქზე თავდასხმა, და მან წაგვიკითხა წინასწარ შედგენილი თავდასხმის გეგმა, რომელიც ადგილობრივმა ამხანაგებმა ერთხმად მოიწონეს. სამი დღის განმავლობაში ქუთაისში გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა. სოციალისტური აღმშენებლობის მავნე ელემენტები ყოველგვარ საშუალებებს ხმარობდენ ჩვენი დამარცხებისათვის; ისინი სხვა და სხვა „ხრიკებს" მიმართავდენ. ჩვენთან შერიგებასაც სცდილობდენ, თავიანთ ბნელ საქმეების მიჩქმალვას ლამობდენ და „შავ კბილებს" თეთრათ გვიჩვენებდენ, მაგრამ მაინც „ფონს ვერ გავიდენ" და სასტიკად დამარცხდენ.

ჟუმბარა.

## „სასწრაფო"



— ექიმი: — აქეთ წამოდი, ავტოთი წაგიყვანთ საავადმყოფოში!
ავადმყოფი: — არა, არ მინდა... ურმით წამიყვანეთ, თორემ დაგვაგვიანდება!

# ჩვენი ფოტო-ბრიგადელის მოგონება ქუთაისზე 

## გასეირნება ქუთაისში



1. თეთრი ხიდი. ქუთაისში არის სხვა ხიდებიც: წითელი და ჯაჭვის. არავის ეგონოს, თითქოს ეს სახელები პოლიტიკური მნიშვნელობის სახელებია: თეთრი—კონტრრევოლიუციონური, წითელი — რევოლიუციონური და ჯაჭვის — რეაქციონური. თეთრმა და წითელმა ხიდებმა თავისი სახელწოდება მიიღეს საღებავისაგან, რომლითაც ისინი შეღებეს პირველად გაკეთების დროს. ჯაჭვის ხიდმა კი — ჯაჭვისაგან, რომელიც მას ბარიერად აქვს ორივე მხრით. 2. „ცივია“, რომელიც ქუთაისში ეხლა წყალსადენის მოვალეობას ასრულებს — მცხოვრებლებს ეზიდება აწყვდის წყალს. თვითეული ქუთაისელი, რასაკვირველია „ცივია“-ს გარდა, გულის ფანცქალით მოელის იმ ბედნიერ დღეს, როცა ქუთაისში წყალსადენი დასრულდება. მაშინ აღარ იქნება ქუთაისში „ცივია“. ალბად ამის შესახებაც ცრემლს დაღვრიან ქუთაისელი „მამულიშვილები“. — ეჰ, სადღა არის ჩვენი „ცივია“! 3. სასამართლო შენობა, რომელსაც დღესაც ამშვენებს თვითმპყრობელობის გვირგვინი. 4. ევროპულწოდებული „პახმელია“, რომელიც დილით დადის ქუთაისის ქუჩებში და „პახმელია“-ს გამყვირის — მყიდის მჟავეს. მოთხოვნილება „პახმელია“-ზე დიდია, რადგან ქუთაისში თრობას ხელს უწყობს ღვინის სიმრავლე და სიიაფე. 5. მეზობლების შეხვედრა გზის პირას და ჩხუბი ერთმანეთში იჭვიანობის ნიადაგზე. 6. ბარიკადები არავის ეგონოს — ეს ნაგავია მუშკოთპის წინ.

ეს იყო, ამ რამოდენიმე წლის წინად, როცა ქუთაისის ქუჩებს ანათებდნენ ჭრაქები... როცა „ცისფერ ყანწელები“ პირველად გამოვიდნენ საჯაროთ პოეზიის სარბიელზე... იმ დროს ქუთაისის „ბულვარის“ თავშესაფარი ადგილი მიტროფანე ლალიძის კაფე და მისი ტერიტორია იყო.

ამ „ბირჟაზე“ გვეგმონია ხელთ ჰქონდათ „სტუდენტებს“ და „პროპროშჩიკებს“. ამ სიტყვებს იმიტომ ვსვამ ბრჭყალებში, რომ არც ერთი მათთაგანი არ იყო ნამდვილი სტუდენტი და არც პროპორშჩიკი; ნიჟარაძე - მიქელაძეები მიეიდოდნენ თუ არა მეოთხე კლასამდე, მიასობდნენ ჯღარიგით ფეხებს. მეხუთე კლასი ამ გვარეულობას არ ენახავს თვალით, მაგრამ ან რათ უნდოდათ მეტი სწავლა; ისედაც კარგად გრძნობდნენ თავს: ზოგი მათთაგანი დაიხურავდა თავზე სტუდენტის ქუდს, ან გაიკრავდა მხრებზე „პრაპორშჩიკ“-ის პაგონებს, გამოდიოდნენ „ლალიძის წინ“ და ერთმანეთს ასე დასცინოდნენ:

**სტუდენტის ქუდი თავზე დაგიდევს,**
**ერთი მითხარი თავში რა გიდევს?**

ატყდებოდა ამაზე ერთი აყალ-მაყალი, ხანჯლების ტრიალ-ფრიალი, ჩადგებოდა შუაში გრიგოლ ლალიძე, პაოლო იაშვილი და ბოხის ხმით აშველებდნენ მოჩხუბრებს:

— რა გაჩხუბებთ, თქვე ოხრებო, ნუ თუ ეხლა გაიგეთ, რომ თავში არც ერთს არაფერი არ გიდევთ?!

„ლალიძის წინ“ იგივე ხალხი ფუსფუსებდა. ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ ვისი „ოჩერედია“ სადილად დაპატიჟების.

— კაცო, რა დროს სადილზე ლაპარაკია, ჯერ ჩაიზე ილაპარაკეთ, კუჭი მეწვის სიმშილით, — წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა მიშიკო მიქელაძემ. მას ბანი მისცა ბიჭიკომ, კოწიამ და ყველამ. დაიწყო ფულების შეგროვება. ალმოაჩნდა ყველას ერთად თერთმეტი შაური და სამი კაპეიკი.

ყურები ჩამოჰყარეს.

— წავიდეთ, წავიდეთ რესტორანში, ვისადილოთ, ვინმე წამოგვეხწრება და „ჩავსტრახოთ!!! — იტყოდა ერთი.

— კარგია, კარგია! — დაუდასტურებდნენ და...

ასეთი ამბებით ირთობდა წინად თავს ქუთაისი.

ეხლა? ეხლა თვითონვე მიბრძანდით და ნახეთ რაც კეთდება.

ველი.

# ისტორიული მიმოხილვა

აქა-იქ კიდევ გაიგონებთ მოთქმას „საწყალ ქუთაისზე".

მოსთქვამენ ჩოხა-შემოფლეთილი, უძიროებში თითებ-გამოჩრილი და ხანჯალ-დაჟანგული აზნაურები და თავადები.

კი აქვთ სატირალი! სადღაა მათი ქუთაისი...

მათი კი არა, უძველესი ქუთაისი, საუკუნეების, მეფეების ქუთაისი.

ქუთაისი არსებობდა 14 საუკუნეს წინედ ქრისტემდე... რომზე უფრო ძველი ქალაქია ქუთაისი.

ისტორიის ქარიშხალს მრავალ-ჯერ გადაუვლია მის თავზე საშინელი განადგურებით:

მე-11 საუკუნეში ქუთაისი აათხრეს და გადასწვეს სელჯუკელმა თურქებმა; .

მე-13 საუკუნეში—მონგოლებმა;

მე-14 საუკუნეში კუთხური ომის დროს ქუთაისი დასწვეს სვანებმა.

ამავე საუკუნის დასასრულს—თემურ-ლენგმა. *)

და შემდეგშიაც არ მოუსვენია ქუთაისს. ქუთაისი—იმერეთის მეფეების სატახტო ქალაქი... თავად-აზნაურთა და მუქთახორათა სავანე.

ქუთაისი რუსი ჩინოვნიკებისა და ბიუროკრატების საჯირითო:

მეფის მთავრობამ მოაწყო ებრაელთა დარბევა.

ალიხანოვმა დასწვა და დაანგრია ქუთაისის უბნები.

მენშევიკებს ქუთაისის არსებობა ტფილისის „დაკარგვის" შემდეგ მოაგონდათ:

რიონში **) გაშალეს საქართველოს რუქა. ნახეს მრგვალი ნიშანი წარწერით: „ქუთაისი".

— ჩვენს „დემოკრატიულ რესპუბლიკას" მეორე სატახტო ქალაქი აქვს—ქუთაისში. ჩვენ იქ გავმაგრდებით. იქიდან შევუტევთ ბოლშევიკებს და.

—ჰქუხდა მინისტრი,—ბდღვირს გავადენთ...

— ნაცარში!—დაუმატა ვილაცამ.

მაგრამ მთავრობას „იმდენი საქმე" გამოუჩნდა, რომ ვერც კი მოიცალა—რიონიდან ქუთაისში შეევლო და „დაემულებინა" — პირდაპირ ბათომისაკენ მოჰკურცხლა და იქიდან კი... (თ[illegible]ნც იცით—საითკენ).

ქუთაისმა შექმნა ახალი ტიპები.

ასეთი ტიპები აქა-იქ დღესაც შეგხვდებათ. დღესაც არიან: ლხინიკო უქმაძეები, კვაჭები *) და ძმანი მათნი.

სტირიან ძველ „მამაპაპურ" ქუთაისზე.

კი აქვთ სატირალი... სადღაა მათი ქუთაისი!

ქუთაისს ახალი პატრონი ჰყავს:

რიონჰესის, ბარიტისა და ძაფ-სალებ ქარხნების, მაუდის ქარხნის მუშები...

ყველა მშრომელი,
ყოველი კომკავშირელი,
ყოველი პიონერი,
ყოველი საბჭოთა ერთგული მოქალაქე...

ქუთაისი მართლაც ხდება ტფილისის ღირსეულ ძმად.

ქუთაისს მალე არ შეეშინდება ხანძრის—წყალსადენი ექნება მას.

ტრამვაი დაამშვენებს ქუთაისის ქუჩებს....

კვდება ქუთაისი... დიახ, კვდება ძველი ქუთაისი.

შრომა ქმნის ახალ ქუთაისს. ინდუსტრიალურ ქუთაისს. **ხი—ლი.**

---

*) უნდა ითქვას, რომ ცეცხლი ქუთაისს ჩვენს დროშიაც არ ივიწყებს—ხშირად ჩნდება ქუთაისში ხანძარი.

ჩვენ მაინცდამაინც არ უნდა ვუსაყვედუროთ ქუთაისის ცეცხლის-მქრობელ რაზმს, რომ ვერ აქრობს ხანძარს, რადგან, ალბად, ასეთი ყოფილა ქუთაისის ბედისწერა.

ტარტაროზი.

**) რკ. გზას ქუთაისში უნდა გაევლო, მაგრამ მრეწველმა ანანოვმა ინჟინრები მოისყიდა და რკ. გზის მთავარი ხაზი აცდა ქუთაისს. ამ ნაკლს გამოსწორება სჭირდება; ეს ჩვენი საქმეა და გამოვასწორებთ ამ ნაკლს,—ქუთაისში უნდა გაიაროს ტფილის-ბათომის რკ. გზის მთავარმა ხაზმა. ტარტაროზი.

---

*) სხვათაშორის ქუთაისმა თავისი სახელწოდებით სხვებსაც მისცა „კვაჭობის" შესაძლებლობა და უნარი. აქვე ვათავსებთ ერთ სავაჭრო ფირმის ეტიკეტს, რომელზედაც თითქოს ასე სწერია:

**№ 5 Высший сорт КИТАЙСКИЙ ЧАЙ**




[illegible]

ეტიკეტზე წარწერას, აღმოჩნდება:

**№ 5 Высший сорт КУТАЙСКИЙ ЧАЙ**

ეს კვაჭობაა, მა რა არის?! და ეს ხდება არა ქუთაისში, არამედ—ლენინგრადში. ტარტაროზი.

## „სიცხე თუ აქვს"

აიხრებული კაცია ჩვენი რაიონის ექიმი პეტრე ფხუკიანიძე. თუ გაგიწდა ცოლი, ან შვილი ავათ და მიაკითხე, ჯერ წიგნაკს მოგთხოვს, შემდეგ გეკითხება:

— რით არის ავათ? რამდენი სიცხე აქვს?

თუ უთხარი სიცხე არა აქვსო,—ამბულატორიაში მიიყვანეო, გეტყვის. უნდა იცრუო ისევ—სიცხე აქვს, მაგრამ არ გამიზომია, გრადუსი ვერ ვიშოვე! მაშინ, დაიტოვებს წიგნაკს და მისამართს.

უცდი, დღეს-ხვალ, არ სჩანს ექიმი. მესამე დღეს თუ არ გადაავიწყდა, ან მანემდის შენმა ავადმყოფმა გაძლო, მოვა ექიმი ველოსიპედით, ჭიშკართან შეჩერდება და იკითხავს: ვინ არის ავათო... ავადმყოფი თუ ლოგინში ჩაწოლილი არ დახვდა და 40 გრადუსი სიცხე არ ექნა, შეფხუკიანდება ეს აიხრებული ექიმი, მოაჯდება ველოსიპედს და უკანვე გარბის.

ავადმყოფი ეუბნება: ქარები მაწუხებს, სიცხეს არ მაძლევს, წელი და მუხლები მოწყვეტილი მაქვს, სიარული არ შემიძლია.

ის კი ეუბნება: არა ვარ ვალდებული შენისთანა ავადმყოფი ბინაზე ვნახო.

წინედ კიდევ არ უშავდა; ჩვენს რაიონში [illegible] ცხოვრობდა და ადვილათ ნახავდა კაცი, ეხლა ჩვენს რაიონიდან 2-3 ვერსის [illegible]რეზე გადავიდა და თვეში ერთხელაც ვეღა[illegible] ვხედავთ ჩვენს რაიონში გამოვლილს.

[illegible]კითხავ და ექიმბაშ დანელია ფხაკაძეს [illegible] გაუჩნდენ მუშტრები ჩვენს რაიონში.

ოდალ.

„ტარტაროზი"-ს
შემდეგი ნომერი
სიპირველმაისო
და
ბეჭდვითი სიტყვის
გამოვა
პირველ მაისს

## საუბარი

ტარტაროზკორი: რას იტყვით თქვენ ორი მუშის: ფარსადან დოლაბერიძისა და მაქსიმე მესხის შესახებ, რომლებიც სამსახურიდან მოგიხსნიათ?

ვანო (წყალტუბოს სასადილოს გამგე): ვერ ვუღალატებ სოციშეჯიბრს. შრომის ნაყოფიერება უნდა ავსწიო. ურჩი მუშები კი მიმითითებენ კანონებზე, რომელშიც შრომის ინსპექციის შეტანია პუნქტები: „8 საათის სამუშაო დღე". მე კი ვატარებ სასადილოში 16 საათის სამუშაო დღეს. ვინც ამას არ დაემორჩილება, აიკიდებს გუდა-ნაბადს და თავის გზას გაუდგება.

—ტარტაროზკორი:—რას იტყვით თქვენ იმის შესახებ, რომ ხშირად უხეშად ეპყრობით სასადილოს თანამშრომლებს და, გარდა ამისა, გიყვართ მოსადილე მოქალაქეთაგან „ნუნუას" გადახუხვა?

ვანო:—რასაკვირველია, ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც რაღაც შრომის კანონებზე დამიწყებენ ლაპარაკს, ქეც შეუკურთხებ და პანღურსაც ვკრავ. რაც შეეხება ღვინის გადახუხვას... ჰო, თუ კახურია, ქე გადავკრავ.

ხლისტი.


რესტორანი
რესტორა
ბორჯომი



**მეურმე გლეხი:** — შორიდან მოხატანია ხრეში... ექვს მანეთზე ნაკლებ, ვერ მოვიტან!

— რა შორიდან, შე კაი კაცო, კოოპერატივში იყიდე ერთი ოყა ლობიო, და შიგ იმდენი ხრეშია, რომ ორ ურემსაც დატვირთავ!

# სადგური ქუთაისი

(სინამდვილე)

**სადგ. მორიგე** (შემადგენელს): — ლადიმერ ჩემო, დღეს ჩვენი მუშაობის ზადაჩა ასე იქნება: პიატი პუტიდან გამოიყვან შვიდ კრიტ ვაგონს და ჩააყენებ ტრეტი პუტში. შემდეგ წეიყვან პაროვოზს და ვტაროი პუტში რომ ბორტოვოებია, სამ ვაგონს დატოვებ და დანარჩენს გადააყენებ ჩეტვიორტი პუტში. შემდეგ წეიყვან პაროვოზს და მიადგები შესტოი პუტს; იქ გააკეთებ პერეკიტკას და რემონტნი ვაგონებს ჩააყენებ დეპოს სრემონტო პუტში. იქიდან გამობრუნდები და შეხვალ პაროვოზით მატერიალნი სკლადში; იქ რაც პაროვოზი კატიოლებია, ყველას მიამბავ 48-ზე და გააგზავნი რიონში. შემდეგ ტყიბულიდან რომ მაქსიმ გორკი ჩამოვა, უკან სამი ნახშირით დატვირთული ვაგონი უბია, რავარც ჩამოვა, მიაყენებ უკნიდან პაროვოზს და იმ სამ ვაგონს ჩააყენებ მატერიალნი სკლადში. ხომ დაიწერე ყველაფერი რაც გითხარი?

**შემადგენელი:** ყველაფერი ჩავიწერე, მარა, იცი რა გითხრა, პაროვოზზე მაშინისტი არ არის; პომოშნიკიც არ არის, კარგათ გაცნობილი პაროვოზის მუშაობას. წეხან ცეფჩიკი კინაღამ გადისრესა შვაზე ისე დაეჯახა მანევრების გაკეთების დროს ვაგონები ერთმანეთს.

**სადგ. მორიგე:** — კი, მარა მაშინისტი სად არის, — რას ამბობს პომოშნიკი?

**შემადგენელი:** — აგერ ქორიძის პადვალში წევიდა არაყის გადასაკრავად, ცოტა მეცელი მტკივა და იქნებ მოვირჩინოსო.

**სადგ. მორიგე:** — ვინაა მაშინისტი?

**შემადგ.:** — ჩვენი რაჟდენ სა-ძეა.

**სადგ. მორიგე** (იღებს ტელეფონის მილს): — ჰაა, მესმის, ხარაშო, ხარაშო... ლადიმერ ბელთიდან ქე გამოვიდა მაქსიმ გორკი და ება შენ იცი შის ჩამოსვლამდი თუ მოშილევ რაც გითხარი.

**შემადგ.:** — თუ მაშინისტი შევიდა, ვეცდები; თუ დეიგვიანა, მაშინ პაროვოზი უქმად უნდა დავაყენო, ვინაიდან ცეფჩიკი უარზეა; ამბობს — სადა მაქვს მოსაკლავი თავი, წვრილი ცოლშვილის პატრონი ვარო.

**სადგ. მორიგე:** — ფუი, ჩემ გაჩენას, კინაღამ მავიწყდება. წეხან ტელეფონით დამიძახა მასტერ უჩ. ნიამ — ორი თბილისის ვაგონი რომ ავხსენით ამ ერთი კვირის წინად, უკვე მზადაა და შეგიძლიათ გაატანოთ 67-ზე აძაღამო.

**შემადგენ.:** — მე მაშინ გამოცვლილი ვიქნები. ამიტომ მაგ ზადაჩაზე ვერ შეგპირდები. ისე ჩემ სმენას ქე ვიტყვი და მან გინდა გააკეთოს, გინდა თავში ქვა იხალოს.

**სადგ. მორიგე:** — ხო, მართლა, მაშვინ მეც გამოცვლილი ვიქნები; იმის დარდიც არა მაქვს რაც გითხარი ის ზადაჩა შემისრულე.

**შემადგ.:** — თუ მაშინისტი შევიდა, ვეცდები; თუ არადა — ნურას უკაცრავად. ამიტომ ჯობია გააგზავნოთ სტოროჟი ქორიძის პადვალში და მოაყვანიოთ მაშინისტი, თუმცა პომოშნიკი ასე ამბობს — იმას ეხლა ამ ქვეყნის არაფერის გაგება არ ექნება ისე იქნება მთვრალი, ვინაიდან, მე ვიცი მისი ხასიათის ამბავიო, — თუ ერთი შეყო ცხვირი სამიკიტნოში, მერე მისი ფხიზლად გამოსვლა ძნელიაო.

**სად. მორიგე:** — ხო-და, დღევანდელი ჩვენი მუშაობა, როგორც ვატყობ დიდი წარმატებით დამთავრდა. შეჯიბრში მაინც არ ვეწერით და ჯანდაბას ჩემი თავი და შენიც, ჩემო ლადიმერ.

**შემადგენ.:** — ჩემი მუშტების გეშინია, ხი. მე რას მწყევლი, შე ჩემის თექვსმეტიანო!

**სად. მორიგე:** — რაცხასი მეშინია, თვარა შეგათრევდი კაბინეტში და იმდენს მოგცხებდი, რომ ნახევარი არ დაგეთვალა!

**შემადგენ:** — ჩემი მუშტების გეშინნია, თვარა მაგას მართლა იზამდი!

კირილე საფიჩხიელი.

# „საფლავშიაც, აქაც, იქაც...“

— ამხანაგო, სად არის აქ ახლოესი სასაფლაო?

მილიციელი—!?!

— აქ გასაკვირი არაფერია, ამხანაგებო. მე მეცხრე დღე სრულდება რაც ქუთ. პირველ საბჭოთა საავადმყოფოში გარდავიცვალე. ჩემს დამარხვაზე რომ არავინ იზრუნა, მოთმინების ფიალა აივსო და იძულებული გავხდი ჩემივე ფეხით წავსულიყავი ტფილისში. სიცოცხლეში მობეზრებული მქონდა თავი ჩემივე თავის პატრონობით და სიკვდილის შემდეგაც არ გამიხდა სახათაბალო!.. თფუი ასეთ ცხოვრებას.

**მილიც.**—(სტვენს) ჯარიმა 50 კაპ. გაფურთხებისათვის.

— სად მაქვს, ჩემო ძმაო, კაპეიკი, რაცხა თერთმეტი აბაზი მქონდა და ისიც დამლაგებელ ქალებმა გაინაწილეს ჩემს ტანსაცმელთან ერთად. ხომ ხედავ პერანგის ამხანაგას ამარა ვარ! ესეც ჩემმა მეგობარმა მიცვალებულმა მათხოვა დროებით.

**მილიც.**—რა გიყო ახლა მე შენ? დაგაპატიმროთ?

**მიცვალ:**—კუბოს დაგიტოვებ ზალოგად თუ გინდა.

**მილიც.**—კუბო რა შავ ქვათ მინდა, შე ოჯახქორო!

**მიცვალ:**—ეს ერთი მაპატიე და თუ სადმე შეგხვდი შენი პატივისცემა ჩემს კისერზე იყოს. მთა მთას არ შეხვდება, თვარა კაცი კაცს რავა არ შეხვდება!..

— კაი ეს ერთი მიპატიებია, მარა მეორეთ არ ქნა იცოდე... თვარა პირდაპირ კრემატორიაში გაგაგზავნი... შემოუტრიალე ეხლა ამ სემაფორს და წადი... მარა მოიცა, ანკეტა უნდა შევავსო. გვარი, სახელი, ატეჩესტვო და ფამილია ვაში, ჟივო.

— ვინაიდან ყინვას არ მადებდნენ თავზე თავის დროზე, ტვინის ანთების გამო მეხსიერება სრულიად დავკარგე.

— ვინაობა?

— რავა გითხრა ახლა... მიცვალებული.

— სად მიხვალთ?

— აბრამისა წიაღსა შინა.

— როდის გარდაიცვალეთ და გარდაცვალების მიზეზი?

— მაშინ გარდავიცვალე, როცა მოვკვდი, მიზეზი კი ექიმების და საერთოდ მომვლელთა უყურადღებობით იყო გამოწვეული.

— განათლება?

— უმაღლესი საბუღალტრო კურსები მაქვს დამთავრებული.

— პარტიული მიმართულება?

— ვარ 1926 წლიდან—„რემედასის“ წევრი.

— ეწევით თუ არა ფიზიკურ შრომას?

— მათემატიკურ საგნებში ცოტას მოვიკოჭლებ.

— სოციალური მდგომარეობა?

— უცოლო.

— თქვენი კალოშების ნომერი?

— კალოშები არ მცმია, რადგან მიღებული კალოშები ჩვენმა ნოქარმა თავისიანებში გაანაწილა.

—რას აკეთებთ ამჟამად?

— თქვენთან ვლაპარაკობ.

— თავისუფალი ხარ. შემოუტრიალე ამ სემაფორს და დროით წადი.

ნახვამდის, ამხანაგო მილიციონო!

— ბედნიერი მგზავრობა... მოკითხვა ეცოცხლებს.

დონ-კიხოტი.

ქუთაისის ბაზარი



# ზოგიერთ სკოლებში

— მასწავლებელო, არ დამღუპო კაცი, მეორე სემესტრშიაც სუსტი არ გამომაყოლო, ცოდვა ვარ, შვიდწლედს ვათავებ.

—შე კაცო, თებერვალი და მარტი ისე გავიდა, რომ სანახევროდ კლასში არ გიყლია, და ეხლა გამოიფხიკე ყური!

— რამდენიმეჯერ კი დავაკლდი, მაგრამ ყველაფერი ვიცი, მოთხრობები და ლექსებიც... გამიძახე დღეს.

— აბა, მოდი, მიპასუხე, რა მასალა იცი კლასთა ბრძოლისა და რევოლიუციის შესახებ ქართული ენიდან. წაიკითხე „ტარიელ გოლუა" ქიაჩელის?

— მაგი არ წამიკითხავს, მასწ:ვლებელო, წიგნი არა მაქვს.

— აბა „სიხარულის ცრემლი", ან „ჩაქრა დილა" აბაშელის ლექსი თუ ისწავლე თავის დროზე.

— გადავიწერე საზოგადო რვეულში, მაგრამ რვეული დამეკარგა და არ ვიცი კარგად.

— მაშ, „ოქტომბრის მარში" ს. ეულის— მითხარი ზეპირად, პატარა და ადვილი ლექსია.

— ეს ლექსი არ გადამიწერია, მასწავლებელო, წიგნი ვერ ვიშოვე.

— კარგი, ვხედავ შენ ლექსების დაზეპირება გეზარება; წ:იკითხე ამ გაზაფხულის არდადეგებზე პატარა ამბავი „ზღვის ნიავი"?

— წავიკითხე ერთჯერ, მასწავლებელო.

— ვინ დასწერა ეს ამბავი, ვინ არის ავტორი?

— გიორგი ქუჩიშვილმა... არა, ეედოშვილმა...

— ვერც ეს დაგიმახსოვრებია. ეს დასწერა ირეთელმა, გაიგე ირეთელმა..

— მომიყევი მოკლეთ მეორე თავის შინაარსი.

— მეორე თავი არ წამიკითხავს, მასწავლებელო, მხოლოდ პირველი თავი მოვასწარი.

— შე კაცო, ამ მოთხრობის ორი თავი შესდგება სულ შვიდი ფურცლისაგან, ნუ თუ შვიდი დღის განმავლობაში ველარ წაიკითხე. ეს არის „ყველაფერი ვიცი"? აბა, მომიტანე შენი საშინაო რვეული, დავალება თუ შეასრულე.

— შევასრულე, მასწავლებელო, მაგრამ დღეს არ მომიტანია, სახლში დამრჩა.

— საკლასო შრომა შენი ამ ორ თვეში რვეულების სწორების დროს არ შემხვედრია, ალბ:დ არც საკლასო რვეული გაქვს!

— საკლასო რვეული კი მქონდა, მაგრამ როდესაც დაარიგეს, მე არ მიმიღია, სადღაც დაკარგულა.

— წადი, დაჯექი, თუ არაფერი იცოდი, რაღას მაცდენდი.

— კი მასწავლებელო, მარ: სუსტი ნიშანი არ გამომაყოლო.

ჭიტის—ოღლი.

„ტარტაროზი"-ს
შემდეგ ნომერში
გამოცხადებული-იქნება
ახალგაზ. მხატვართა
კონკურსის შედეგი

# სცენა ტელეფონთან

წკრრრრ... სადგური... სადგური... დაგიდგეს თქვენ ყური... სასამართლო მომეცით... ა? სასამართლოა? ვინ არის ტელეფონთან? ადგილკომის მდივანი? ძალიან კარგი, მეც ეს მინდოდა. გამარჯობა დომენტი შენი. წმენდა დაიწყო თუ არა? ა? პირველად ვინ გასწმინდეს? პროკურორის მდივანი ვასილ რუხაძე? მერე რა უქნეს? ბრალი დასდვეს ინტრიგობაში? დაბალ მოსამსახურეების და მოხოვნელების მიმართ უხეშათ მოპყრობაში? უმფროსების წინაშე ლაქობაშიც? კი, მარა თვითონ რა ქნა ამ კაცმა? რაა? თ:ვს იკატუნებდა და ყველა მის წინაალმდეგ ბრალდებით გამოსულ პირე— ჭორიკანებათ ნათლავდა? რაო? ყველა ბრ:ლდებები მართალი და ასი პროცენტით საფუძვლიანი იყო... მერე და, სად ბრძანდებოდა მაჭაური ადმინისტრაცია, ან შენ რას აკეთებდი, როგორც ადგილკომი? ა? ადმინისტრაციის ხელის დაფარებას და ნათლიმამობიობას ჰქონდა ადგილი? შენ რატომ არ შეებრძოლე ასეთ სიმახინჯეს? ა? გეშინოდა—თბილი ადგილი არ დაგეკარგა?

რაო? მეორეთ—ნოტარიუს ივანე უხაკაშეს გამოუძახეს და ძველი ცოდ...ბი გოუხსენ:ს? კი, მარა შეიძლება მას ვინმემ „ქართ. ინტერესით" მოუგონა რამე—თვარა, რა ვიცი, დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ყოველთვის საპასუხისმგებლო პოსტები ეჭირა და... ა? თურმე გაუგებრობას ქონებ: ადგილი?! იმე! ვერ არის კარგი ამბავი: რ... 18 წელში სასამართლოს გამომძიებლად ყოფნის დროს ბრალდებულ ფორუღლიანთან საქმის „მოსაკვარახჭინებლად" 2.000 მანეთი „ფეშქაშათ" მიუღია? ფორუღლიანი პირში წოუდგა? მერე თვითონ ივანემ რა პ:სუხი გასცა? ნახევრად გამოტყდა? რაო? რა განაცხადა? შესაძლებელია კიდეც მივიღე, მარა არ მახსოვს. ანდა, საიდან უნდა მახსოვდეს, როცა „მაგისთანები ასობით შემოდიოდა ჩემთანო".

მესამედ ვის გამოუძახეს? ა? სასამართლოს აღმასრულებელს—ბაგრატ ხოფერიაძეს? მიწასთან გაასწორეს?! რა უქნია უმაწვილს ამისთანა? ა? ერთ ვინმე ვაჭარ სპეკულიანტთან კავშირი ქონია და თანაც ავერისული საქმეები ჩაუდენია? ნუნუაც ყვირებია? ერთხელ იგი ხოფელ გოდოგნიდან ურმით „ჩამოუსვენებიათ" ნუნუათი გალეშილ-გახეთქილი?

ა? რ:ო? ვინა ხარ კაცო? სადგური? მე კაცს ველაპარაკებოდი... რატომ გაგვაერთე? აა!? ასეთ ტელეფონს რა უთხრა მე...

ლამსწრე.

ყუმბარა

# ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა ქუთაისზე

## რიონჰესი

რიონჰესი ქუთაისის სულია და გული;
პომაელის სიამაყე—ჩვენი სიყვარული.
იფურჩქნება... ჰყვავის... ჰყვავის... გაიშლება მალე.
მუშა ასე გაიძახის: „მე მას ვენაცვალე“.
მასზე გრძელი მოხსენებით არ ილლება კრება
და უსმენენ სიხარულით,—ხალისი არ ქრება.



მაგრამ სთხოვა კომკავშირმა ინჟენერ ხულავას:
—გაგვიკეთეთ მოხსენება, ნუ დაგვიწყებთ დავას,
როგორია მუშაობა? საწარმოო გეგმა?—
ინჟენერმა გაიცინა, გაისწორა ჩექმა.
ასე უთხრა:—კომკავშირის რა საქმეა ესო?!
უთქვენოდაც დავამთავრებთ დროზე რიონჰესსო.
თქვენთვის იყავთ, ჩვენ კი—ჩვენთვის; მორჩა და გათავდა.
ნუ ერევით ჩვენს საქმეში... „მოტ ეტო ესტ პრავდა“!

***

სამასალო ნაწილის გამგე არის სიმონი,
(ჩიქვილაძე გვარია), მეავე ვით ლიმონი.
ერთხელ ჰკადრეს:— ეს მუშა წამოვსწიოთ წინაო!—
მაგრამ სიმონ გაბრაზდა და ეს მას ეწყინაო:



## „8 მარტის“ სასადილო

შონგარიძე მარო (ტყავაძე მისი გვარი),
ძასხურთა სიტყვის თქმაზე ენთება როგორც კვარი.



ლაპარაკის დროს „რაინდს“ მზადა აქვს ორივ მუშტი...
უფრთხილდი, მარო, თორემ... არ გასკდე როგორც ბუშტი.

***

## ფურნე № 18

**მოქალაქე**:—ეს დამწვარი პური რად გინდა?

**ტორაძე** (მეფურნე):—სუხრად გამოდგება, ჩაიში დაალბე და სჭამე. მადლობას უნდა მეუბნებოდეთ, რომ კიდევ კარგ დროზე მოვედი და პური მთლად არ დაიწვა. ისეთი გახურებული სმა მივატოვე, რომ იქ ყოფნასა და ქეიფს არათერი სჯობდა. [illegible] ხახამშრალი დარჩებოდით.
დამეცადა, პური ფურნეში სულ დაიწვებოდა და თქვენც

***

## შინა-ვაჭრობა

„მოადგილის
გამგე არის“
ეს პლატონი
თალაქვაძე.
მარდი არის
მუშკორების
ცემაში და
გალახვაზე.
ბრაზი მოსდის
კაბინეტში
თანამშრომლი!
დანახვაზე
ბევრი კიტრი
გაიტაცა,
ჩამოჯდა და
თეთრა ჭამა.



## ქუთაისის დეპო

**ნოსელიძე**
რომ დაიწყებს
ლაპარაკს და
მოხსენებას,—
თითქოს ჰქონდეს
მას ჰიპნოზი,—
ეძინება
უცებ კრებას.
დრო არ რჩება
და არც აძლევს
ლაპარაკის
ის სხვებს ნებას.



სიტყვითა და ლაპარაკით შეუძლია ცაზე ასვლა,—
მაგრამ მუშათ-ბრიგადაში არ ისურვა სოფლად წასვლა.
თავისთავი დიდად მოაქვს. მითქმა-მოთქმაც უყვარს ჩუმად
და ვისაც კი წააჩხლებს, არ დაინდობს, უკბენს უმად.

***

## ცენტრალური საწყობი

მე ყოფილი ვაჭარი ვარ (ჩემი გვარი—ჯანაშია)
ამიტომაც ვერვინ მჯობნის მე სმასა და ჭამაში.

***

## საბავშვო სახლი

გამგეა ბავშთა სახლის მგალობლიშვილის ქალი.
რატომღაც ის ბრძანდება მდგმურეთა [illegible] იყოალი.




ბოქლომს დაადებს „ორ ნოლს“, ბოქლომს ორ ფუთის, წონით.
ვინ რას გახდება მასთან სიტყვით, ლანძღვით თუ ღონით.




— მუშა დაწინაურდეს გაგონილა სადმეო?!
მე სპეცი ვარ, უფროსი... სად მუშა და სად მე?! —

**

რიონჰესის ბუღალტერიის თანამშრომლები, სულ-ერთია რომლები, (ისინი ბლომად არიან), ბალში მიიჩქა-რიან და უმღერენ არიას თებრონეს და დარიას:



— მიჯნურობა მუდამ იყო სიყვარულის ერთი დარგი.
და შენც ჩემი სიყვარული მაგ შენ გულში მაგრად ჩარგე.
ხომ კი ხედავ—სამუშაო მივატოვე და მივაგდე.
აქ თუ ერთხელ არ მაკოცებ, მაშინ მოკვდა, აბა, ა გდე?!
ქალო შენმა სიყვარულმა გამიხადა მე ხანძარი;
დავიწვი და დავიფერფლე,—ცეცხლის რაზმი ვერ დაეხ-
მარა.

შენც კი იცი ამ ჩვენს ქალაქს ჯერ არა აქვს წყალსადენი.



ქამის მადა
აეშლება
საჭმელების
დანახვაზე.

ერთხელ მუშამ გალანძღვისთვის უჩივლა და დაუმტკიცა.
თუმც პლატონმა სიცრუეზე სინდისიც კი დაიფიცა,
მაგრამ მაინც სასამართლომ არ დაინდო, გაამტყუნა,
და ჯარიმა ოც მანეთის მიუსაჯა და არგუნა.
მაგრამ პლატონს სიხარულით კვლავ გაეხსნა აქა ცაო:
„თუ გალანძღვა მეტი არ ღირს კვლავ გავლანძღავ აქა-
ცაო!“
სასამართლოს თანდასწრებით შეიგინა ისევ მაგრად...
იძულებით სამუშაო ორი კვირით მისცეს, მაგრამ...
მაგრამ ქალაქს არ გასცილდა სასამართლოს განაჩენი,
და უარესად იგინება ამის შემდეგ „პლატონ ჩვენი“...

**

## ქუთაისის გორანი

### გორანზე მომუშავის სიმღერა:

მე ყოველთვის მიხარია იქითა—
იქ დუქანში ღვინოსა ვსამ ჭიქითა.




გაღმა მხარეს მე გავსცურავ ვით ქარი,
რადგან ღვინო და მწვადიანი იქ არი.
აქეთ დაცდა მეზარება ძალიან
მითხარით, ხალხნო, როდის არ ვარ მთვრალია?

**

## „ვენეცია“ გოოლენკო

წყალსადენის ეს მილები ვატრიალე აქეთ-იქით.
ჯერ ქუთაისს არ ვალირსებ, რომ წყალს სვამდეს დიდი
ჭიქით.
ამ წელიწადს ორმოს გავთხრი,—იმ წელიწადს ჩავყრი მი-
ლებს.
მამებს თუ არ მოესწრებათ,— ეღირსებათ იმათ შვილებს.

# მუავანაძის ოინები

სწორედ იღბალმა გამიქრა, დუშაში გამიგორდა და ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფს მოვექეცი შიგ შუა გულ სამსახურში.

თბილ ადგილს მადის გახსნა სჯობია. 1500 მანეთი შევსანსლე. მე არ მეგონა, თუ ასეთი მცირე თანხისათვის გამასახლებდნენ მიმითითებდნენ. ახტა; დახტა მამაჩემი (ძველი ჩინოვნიკია) და დაფარა ვალი.

უმადურმა ადმინისტრაციამ წამწია ბაღდათის ფოსტის გამგეთ. ორი წელი ვიბაირამე, მომწყინდა. ისევ ქუთაისის გემოვნება მომაგონდა, არც აქეთ, არც იქით და ისევ შევსანსლე 3.500 მანეთი (შრომის ნაყოფიერებაც გაიზარდა). უმადურმა პროკურატურამ გამასახლში მატუცია თავი. ვიჯექი რაღაც წელიწად ნახევარი.

მამაჩემი ძველი კაცია. მიადგა ერთ ნაცნობ მოსამართლეს და ჩემი სასამართლება ჩაბარა ხელში. მეორე დღესვე გარეთ გამომიშვეს.

სწორედ მესამე დღეს ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფში ამოვყავი ისევ თავი, სადაც დღესაც არხეინად ვმსახურობ.

ახლა მინდა ცოტა მოვისვენო და შემდეგი ჩემი სამოქმედო გეგმაში შეტანილი მაქვს თბილისში გადასვლა თბილ ადგილზე.

ვფიქრობ ამ საქმის მოსაგვარებლად დამჭირდება კბილის გაკვრა, არა ნაკლებ 5.000 მანეთისა.

ხლისტი.

—:—

# კ ი ნ ო

კინო რომ კარგი საქმეა, ეს ქუთაისში ყველას კარგად მოეხსენება. მაგრამ კინო-ტეატრი, ისიც დირექციის მიერ მიჩმახული, ძლიერ ცუდია. აფიშებს ამშვენებენ თვალწარმტაცი აწშლანგები: „ახალი სურათი“, „მსოფლიო ბოევიკი „სეზონის პრემიერა“, „უდიდესი კინო მიღწევა“, „იშვიათი ტექნიკა“, „განთქმული რეჟისორი“, „სახელ-გავარდნილი მსოფლიო არტისტი“, „ულამაზესი არტისტია“, „მაყურებელი მთლიანად დატყვევებულია ემოციებით“, „სიცილი და ხარხარი“, „ტირილი და ქვითინი“.

იქვე გახსნილია სამონტაჟო კურსები. ექვს ნაწილს შეიდად „ანაწილებენ“. სურათის სახელსაც ამახვილებენ —თუ არის „ტყის კაცი“, შემდეგ უთუოდ შეიქნება: „ტყის მხეცი“.

ბა—ჩო.

# ლიტერატურული ნოგათი

(პ ა რ ო დ ი ე ბ ი)

### ანაზარდი

ჟამი ჟამს სცვლის... რას იზამ? ზევით ვერ აუხტები,
მომავალი მოქროლავს ალელვებულ ვარდებით...
ისევ სჯობს, თუ კი გყავს, ცხენს რომ წამოახტები
და მოკურცხლავ,ცხენიდან თუ არ გადმოვარდები.

### ბონდო კეშელავა

მე ამ წუთებში ყველგან ვიქნები,
საცა თვალებით გადმომანათებ,
მე არ ვმუშაობ და არ ვილლები,
ვწერ და ვწერ სატრფოს მუდამ ბარათებს.

### დათა თაქთაქიძე

მართლა რა არის, ეხლა ვფიქრობ, კაცის სიცოცხლე?
ყველგან წითელი მზის ზეწარი გადაიფარა,
ეხლა მოდი და დათიკოჯან დაწექ, იცოხნე,
პოეზიიდან რაც კი მქონდა, გადაიღვარა.

### ფურცხვანიძე

სახლებზე რომ გასულხართ და გაიძახით:
—წყალიო, ჩამოდით და თქვენც მოაქაჩეთ წყალი,
მეხანძრე რაზმელებო თქვენ რავა
გაქვავებულხართ.
ვერ ხედავთ—ქუთაისი იწვის?!
ჯაგ-ჯაგ-ჯაგით მიდის წყალზე კასრების ქარავანი.
ჯაგ-ჯაგით ბრუნდება ქარავანი.
და ცეცხლი ჩამქვრალი დახვდებათ.
მოქალაქე—მოქალაქეს:
როგორ ფიქრობთ, ქალაქს რომ წყალსადენი
ქონოდა ცეცხლი გაბედავდა გაჩენას?
— ვერ გაბედავდა.
— იქნება წყალსადენი?
— იქნება.

---

### სიზმარი

დამესიზმრა, ვითომ ქუთაისში ადგილობრივ პროლეტ-მწერალთა ასოციაციას „დიდის ზეიმით გაეხსნა მწერალთა კლუბი“.

დავესწარი, დარბაზი მორთული იყო საგანგებოთ, „სცენაზე“ სჩანს ჩვენი გამოჩენილი მწერლები.

— ამხანაგებო, — დაიწყო თავმჯდომარემ, — ჩვენ დღეს ვიმყოფებით რეკონსტრუქციის ხანაში, პროლეტ-მწერლობა მიიწევს წინ გიგანტიური ნაბიჯით, ჩვენ ვზეიმობთ კლუბის გახსნას, ეს ამხანაგებო დიდი მიღწევაა...

ხალხმა ტაში დაუკრა.

ტაშის ხმაზე წამოვხტი... ლოგინში ვიწექი...— ვსთქვი ტკბილი სიზმარიც კარგია მეთქი!

სწრაფი.

---

ვანლერ დაისელი

### პოეტები და ქუთაისი

ფიქრები ბალში გადამიგდია,
ხარ ანატოლის თეთრი თაისი.
„ფოსტის ფულები“ ღეხზე მკიდია—
მაქვს მე ლექსები საქუთაისო.

—:—

მოხუცა მთები თუთუნს აბოლებს,
ეს ქუთაისი ნეტავ ვისია?
ჯიბიდან ფულებს ვერვინ გამომლევს,
ამ სიტყვას ვამბობ ქუთაისიდან.

### შარუხ ჩარკვიანი

შედიხარ ბალში გახარებული,
მოგენატრება მაშინ იხვიო,
გატყვევებს ვაზი, თხა და ბულბული
არ იცი მათგანს ვის მოეხვიო.

## ქუთაისის პოეტები

აქ პოეტები ისე გახშირდენ,
როგორც ქვიტირის თეთრი ბოლოკი.
აკოწიწებენ სიტყვებს რითმებად
და თავი მოაქვთ დიდ პოეტებათ.
ჩვენი სალამი შახრუხ ჩარკვიანს!
ალალი იყოს მასზე ეს ქება;
თუ განებავთ შესვამს ენგურს ქაფიანს,
და ყანწებს იხმარს ღვინოს ჭიქებათ.
მეორე ქება ჯაკუს დარჩება,
გულით ქალების ვნებას ატარებს.
ყველაზე უფრო მას ეხერხება
ქალის დახატვა პირმოცინარე.

—:—

პროლეტ-მწერლებზე უნდა ვსთქვა სიტყვა.
უამისობა არ მოხერხდება.
მსურს მათ დაუსვა ასეთი კითხვა:
— რა მიზეზია—საქმე ფერხდება?
ნუ თუ თქვენი ხმა ასე სუსტია,
რომ ქუთაისიც ვერ გადალახოს?
ნუ გვეცით ლექსი, ვით ინდუსტრია,
რომ გამიზნული გრძნობა დაატკბოს.
თუმც დაპირება ბევრი გვსმენია,
მაგრამ ლექსებით სხვას გვეუბნებით.
მე როგორც მკითხველს—ძლიერ მწყენია
რომ მწერლობაში მოხვალთ ურმებით.

ბ—ჩო.

---

## ნ ე ს ტ ო რ „ჟ ე ნ ი ხ ი“

(ერთ-ერთ ქუთაისელ პოეტის ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსები).

1.

### ქვიცის ორეული

მაღლა მთაზე კახპა მთვარე დადის,
მაღალ მთებში დადის კახპა მთვარე.
კახპა მთვარე დადის მაღალ მთებში,
მაღალ მთებში დადის მთვარე კახპა

სალორის ტყეში გელი ქალო...
ქალო, გელი სალორის ტყეში.
გელი ქალო ტყეში სალორის,
სალორის ქალო გელი ტყეში.

აქ ბალნიცის მე სიდელკა ვნახე,
მე სიდელკა ვნახე აქ ბალნიცის,
იმ სიდელკას ქვიცის ქონდა სახე,
გამოხედვაც იმას მქონდა ქვიცის.

გოჭი ურა ხავერდივით მოსჩანს,
ხავერდივით მოსჩანს გოჭოურა,
გოჭოურა მოსჩანს ხავერდივით
შეგაჭამე გატყაული ტურა.

2.

### აფხანიკებო!

აფხანიკებო, ჩვენ გვემუქრება
კიტაიელი ხემწიფე პაპი,
ჩვენი მტრობა აქვს ოჯახ კეტიანს
უნდა ჩვენ საქმეს რომ უყოს ყლაპი.

პილწუწკი არის კიდევ ხემწიფე
გვარად პანია—ამირაკელი,
ის ემტერება მუშათა მასებს...
მე იმას უნდა გამოვჭრა ყელი.

აქ უ მოვიდა უტირებ დედას,
დავხვდები, როგორც ვაჟკაცი სიძე,
ყოველი კუთხით შეუკრავ გზებს და
არ გამოუშვებ მას ჯაჭვის ხიდზე.

თუ ჩამივარდა ხელში ხელებში
ბურჯუაშვილი მე მაკლონალდი,
დედას უტირებ მე იმას მაშინ,
კისერს წავაჭრი ოკრიბულ წალდით.

3.

### ალბომში.

ჩემო ვარიჩკა, მე დამიჯერე,
შენ გილალატებს გივი მინდელი
და საპერნიცა შენი გახდება
უსირცხვო სონა ხტეფანწმინდელი.

სიყვარულისთვის შენ არ გცალია,
შენი გულია ნორჩი და უმი,
ჯერ რა დროს შენი სიყვარულია,
ჯერ გაათევე შენ ტეხნიკუმი.

შერცხვეს ულამი ჭაბუკ პოეტის,
საგოსკინმპრომო შემირცხვეს წვერი—
„ატკრიტი გულით“ თუ არ ამბობდეს,
ქალო, ამ სიტყვებს ლექსის დამწერი.

4.

### ნესტორ ჟენიხი.

რიდან გიცქერ ჩემო სატრფო
რა ტურფა და რა ლამაზი ხარ,
მე შენზე ვფიქრობ სულ დღე და ღამე
მე შენ ზედ კაკალ ზურგზე მაზიხარ.

როცა ცხოვრება ცხენივით ჭყივის,
ან და ეზოში გოჭი ჭიხვინობს,—
შენს „დივნი გოლოსს“ ვიგონებ მაშინ,
მაშინ ვიგონებ ჩემს დუშკა ნინოს.

ნეტავი მომცა, ქალო, ორდერი,
რომ ჩავესახლო გულში ნეტარი,
მე შენი ეშხით მაღლე მოვკვდები,
მე შენი ეშხით გავხდები კვტარი.

აფხანიკურად გიწერ ამ შაირს,
მსურს დაგიკოცნო კოჰწია ტორი;
არ დამივიწყო და გამიხსენე
შენი ჟენიხი, შენი ნესტორი.

მედუზა.



სამხედრო შტაბი არ გეგონოთ!
ქუთაისის ოლქის საგზაო სამმართველოა!

# წერილი ლუკას

გამარჯობა, ლუკა ტრიფონიჩ ცინცაძე.
ბიჭო, ძაღლის იღბალი გაქვს, ძაღლის.

21—22 წელში ბათომის ჯანმრთელობის [illegible]ლების კანცელარიის მოლარე იყავი, საიდანაც გამოგაძუნძულეს, და საიდან სად—ქუთაისის განათლების საოლქო განყ. ინსტრუქტორად,—ამავე დროს სამტრედიის ათწლედში რუსულის გაკვეთილების მასწავლებლად?! როგორც ამბობენ, ცოდნა ხელს არ გიწყობს... სამაგიეროდ უხეში ადმინისტრატორის როლს ასრულებ და შენგან განაწმენდი მასწავლებლობა ოლქის მუშ-გლეხინში გამორბის საჩივლელად.

მამაშენის ხსოვნას რომ პატივს სცემ, ეს კაი საქმეა. (არ არის ღირსი თუ?!) ბლაღოჩინი და მეფის დამსახურებული ჯალათი, რომელსაც 1905-ში „წესი აუგეს“ რევოლიუციონერებმა. თუმცა გენ. ალიხანოვმა შური იძია — გომის თემს ეგზეკუცია ჩაუყენა და 3.000 მანეთით დაბეგრა.

ცხონებულ მამაშენს კი მეფის გემოვნების ძეგლი დაუდგა. ნაწილი ფულით თქვენ „კაცები გამოგიყვანათ“. შენი ძმაც სურამში მამის გზას გაჰყვა. შენ კი 24 წელში მაგრამ.... განაგრძე, სანამ სამტრედიის მსუბუქ კავალერიას არ შეუსწავლიხარ. ეხლა შენ მწერ—ჭ. ნიკოლაიშვილს დაუჯერე რაც გითხრასო. რაფერ დაუჯეროთ მას, სანამ სტატისტიკოსები არ გამოიანგარიშებენ, თუ რამდენ პროცენტს ურევს მართალს ტყუილში.

შემდეგ ინჟ. ჯაოშვილზე მწერ — მისი ჭირი მის დიპლომის მიმცემსო. ორი თვეა ქუჩებში ოთხჯერ ამოყარა და ჩააწყო რკინის მილები. ამბობენ ახლაც ამოსალებიაო.

მაგის იმედზე თუ დავდექით, ქუთაისის წყალსადენი 10 წელს არ მოთავდება. ან რა საჭიროა! რიონის მდინარის პირას, რომ ცეცხლი გაჩნდეს, სახანძრო რაზმი წყლისათვის საფირჩხიაზე გარბის.

მწერ — ქუთ. ზაკტპოს სასდილოზე. აქ, ძმაო, იმდენი კატლეტი არ კეთდება, რამდენიც ცენტრიდან კომისიები და ინსტრუქტორები ჩამოდიან. ყველა თავისებურად მსჯელობს და აყალიბებს შტატს. თანამშრომლებს ისე აქვს დავთარი აბნეული, როგორც ქუთაისის ფოსტის საგაზეთო კანტორას. ბიჭო, იანვარში გამოვიწერე „მუშგლეხკორი“ და დღესაც არ მომსვლია, მიუხედავათ იმისა, რომ ასჯერ ვართ მისული განცხადებით.

აქეთ ნუ წამოხვალ, დარჩი ისევ სამტრედიაში, სანამ მსუბუქ კავალერიას არ შეუსწავლიხარ.

ეკალ—ვარდი.

იყო ქუთაისი. ქურაისი—ზასტავა, ბალახვანი და ფერმა. იყო ქუთაისი — სავარდმაისო, განთქმული თავხელაღებული გვარიშვილებით და მამულიშვილური განცხრომით. მღეროდენ ქუთათურ სიმღერას:

აპრილო და მაისო
მშვიდობით ქუთაისო.

და ზასტავის, ბალახვანის თუ ფერმის რესტორნებში მაშაპაურად ათენებდნენ ღამეებს... კლავდენ ღვინოში ღამეებს, რომ დღისით ტიკებივით გაგორებულიყვნენ მწვანეზე.

თავს იწონებდენ ჩოხა-ახალოხით და წელით დაჰქონდათ ქამარ-ხანჯალი.

ასეთი იყო „მოწინავე" კლასის ცხოვრება...

იყო ქუთაისი—სავარდმაისო... იყო და აღარ არის. ძველი ქუთაისი „მამულიშვილებით" ჩაბარდა ისტორიას.

ქუთაისი ინდუსტრიის კერა ხდება.

მაუდის ფაბრიკის, ძაფ-საღებ ქარხანის, კირის ქარხნისა და რიონჰესის საყვირები ახალ მუსიკას, ახალ მარშს უმღერებენ ქუთაისის მშრომელთ.

მშვიდობით სავარდმაისო ქუთაისო...

სალამი ინდუსტრიალურ ქუთაისს.

ვ. შ.

# რ ა დ ი ო

## პატარძალი (მაუდის ქარხანა)

რაც რადიო გაგვიკეთეს უკვე გადის ორი წელი, მაგრამ როცა მას ვუყურებ მწუხარებით გვიწყდება წელი — დამჯღრეული, დამსხვრეული, ხმის გაღების არ აქვს ძალი, კუთხეში დგას საცოდავათ, როგორც მუნჯი პატარძალი, შეძენა და რემონტებში შვიდსამადი გადიყარა, მისი „პესნას" მოლოდინში თმა გაგვიხდა ჩვენ ჩაიარა.

სკვინჩა.

**ეძინება (იქვე).** ტარტაროზო წერილსა გწერ, წაიკითხავ — გეწყინება;—ადგილკომის თავმჯდომარე არ მუშაობს, ეძინება. სძინავს აქ კულტმუშაობას, სძინავს კლუბს და სძინავს ყველას და ვინც ფიზიკულობს, რესტორნებში გაიძახის: — „დელიდელის". წარმოდგენა გვენატრება, როგორც შეყვარებულს მთვარე, კლუბს სძინავს, ყურს არ იბერტყავს, ადგილკომის თავმჯდომარე.

ორ-დი.

**მოგვეშველეთ!** მოგვეშველე, ტარტაროზო, აგვაშორე საფრთხე, შიში, რწყილებმა და მკბენარებმა მოიტანეს იერიში. ადრე გქონდა ჩვენ აბანო ქარხანასთან, — წასულ დროში, — ის დაკეტეს და მკბენარებს დაუბრუნდათ ჭამის ხოში, კავშირი და ადგილკომი არ იბერტყავს ყურებს ჯერა, მოგვეშველეთ, თორემ მალე შევიქნებით მუნის წერა.

კორი.

**განცხადება:**

გაუბედურებული ქუთაისის რკინის გზის მუშა - მოსამსახურენი და გზა დაბნეული „ზაკტპოს" წევრები აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და „ტარტაროზის" ყველა მკითხველებს, რომ უგზო - უკვლოდ დაიკარგა ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების ქუთაისის საწყობის **საკონზეთის განყოფილება.**

# დაილუპა

დაილუპა მოწამეთის მთავარ დიაკონი, პირდაპირ დეილუპა! სამოცი წელიწადი ხატებს ემსახურება, გაუცვდა ტუჩები მათი კოცნით. „მამაოჩვენოს" ძახილით ენის კლიტე აქვს ნაღძობი თავზე თმები გაცვივდა ხატების სამსახურში, წვერებს ძლივს აცანცარებს.

ამას წინად მოწამეთიდან ქუთაისში მიდიოდა, ჭუჭყიანი ლოცვანი ხელში ეჭირა; არ იშორებდა.

მწვანე ყვავილას თავზე გახედა რიონჰესის მშენებლობას. დააკვირდა, ჩაფიქრდა, გაშტერდა, ერთბაშად შეიძრა; მოიქნია ლოცვანი და პიტალო კლდეზე მიახეთქა.

— რას შვები კაცო, რა მოგივიდა!—შევეკითხე მე.

— სამოცი წელი დავკარგე!.. მერე რისთვის? ვის ვემსახურე ამდენი ხანი! სად არის სამოთხე? სად არის ცხონება? რა გამიკეთეს სასწაულმოქმედმა დავითის და კონსტანტინეს უხრწნელმა გვამებმა! სად არის სასწაული? ვინ ნახა ღმერთი! ა, ბატონო ნამდვილი სასწაული! ღმერთი მეგონა და თურმე ეშმაკს ვემსახურებოდი. ახლა გამეხსნა გონება. ფუი, უვიცი კაცის ცხოვრებას.—ჩაილაპარაკა დიაკონმა და ლოცვანის ყდას მიაფურთხა.

დაფლეთილ ლოცვანის ფურცლები კი რიონის მძლე ტალღებისკენ მიფრინავდენ ქარის ფრთებზე თეთრი ყორნებივით საბანოდ, გასაგრილებლად.

ვილაც.

**სპეციალური ქუთაისის ნომრის**
**დარჩენილი მასალები**
**დაიბეჭდება**
**შემდეგ ნომერში**



— რატომ დღისით ხვეტავ ქუჩას?
— მაშ რა ვქნა! ღამით სიბნელეა, განათება არ არის!

# შემთხვევები

## ჯიბგირობა

✦ გუშინ, შუადღეზე რიონჰესის პირველ უბნიდან მომავალ მუშებს თავს დაესხა და სამიკიტნოში გაიტაცა მიკიტანმა ტერენტი თიფინაშვილმა, რომელმაც მუშებს დათრობის შემდეგ ჯიბიდან ამოაცალა უკანასკნელი ფული.

მახლობელი.

## ბედნიერი დღე.

✦ დღეს, სადგურის ქუჩაზე კისერი მოიტეხა მხოლოდ 18 კაცმა, დაიმტვრა ერთი ურემი, სამი ფურგონი და გადაბრუნდა 7 ეტლი. აღმასკომმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა — მეორე ხუთწლიან გეგმაში შეიტანოს პროექტი ამ ქუჩის შეკეთების შესახებ.

ივბუხ.

## სიყვარულის ხანძარი

✦ № 7 სასადილოს გამგეს კოსტავას გაუჩნდა დამლაგებელ ქალის სიყვარულის ხანძარი, რომელიც ძლივს ჩააქრო იმავე ქალმა ერთი ვედრო წყლით. ზარალის ასანაზღაურებლად გამგე მოსადილეებს თავს აპატიჟებინებს ლუდზე — ეგებ სამუდამოდ ჩამიქროს ცივმა ლუდმა სიყვარულის ვულკანიო.

პარდონ.

## დიდი მიღწევა

✦ ამ ბოლო ხანებში მუშათა კლუბებს დიდი მიღწევა აქვთ: თუ წინათ წარმოდგენები მეორე დღის საღამომდე გრძელდებოდა, ეხლა დილის ექვსს საათზე უკვე გათავებულია და მუშები კლუბებიდან პირდაპირ სამუშაოზე მიდიან. (ალბად ეს არის მიზეზი, რომ ქარხნებში იკლო სამუშაო დღეების გაცდენამ).

იქს.

## დაწინაურება

წყალტუმბოს ფ.-ტელეგრაფის ყოფილი გამგე ქეიშვილი, რომელმაც 697 მან. გაფლანგა და სადმელის ფ.-ტ. გამგე, რომელსაც 342 მანეთმა „თავი შემოაჭამა", — გადმოიყვანეს ცენტრში და დაუნიშნეს მომატებული ჯამაგირი.

„ზნ".

**სანჩოს.** შე კაი კაცო, ეს რა გამოცანაა:

გაიდიდების მანია სჭირს,
თავი მოაქვს გმირთა-გმირად.
„წვრილფეხა ხალხს არ კადრულობს,
სალამსაც კი აძლევს ძვირად.— ეს ხომ

იუსტინეა, (სასამართლოში რომ მუშაობს ის იუსტინე). მაგრამ იუსტინესაც რომ ეჭვი არ შეეპაროს თავისთავში, კიდევ დაუმატოთ:

თავის სახლში რომ წაიღო
სასამართლოს ინვენტარი,
უკან აღარ დააბრუნა
გაფხეკილი კალმის ტარიც.

ეხლა, მგონი, თვითონ იუსტინეს კი არა, მუშგლეხინსაც კი ეცოდინება ეს ამბავი.

**„კი მიხვდები“-ს.** ჩვენ დარწმუნებული ვართ, როცა ვანო შავგულიძე წაიკითხავს ამ თქვენს სტრიქონებს:

ჩარჩი არის... ფულს ასესხებს
და ტყავს გვაძრობს პროცენტებით.
ჩუმად ჰყიდის არაყს, ღვინოს...
ეს ვინც არის, კი მიხვდებით,—ის, ვანო შავგუ-

ლიძე წაკითხვისთანავე სიხარულით წამოიძახებს:—**ეს მე ვარ!**

**ჩაპ—ლის.** (კოლოფების ქარხანა). თქვენს ქარხანაში არსებულ ნაკლს, ასეთი ლექსი ვერ გამოასწორებს:

გამარჯობა, დაო ნინა,
რა გაწუხებს? რისთვის სტირი?
„როგორა თუ არ შევსწუხდე,
გამიქაფეს მე ჩულქები“.

პროზად რომ გესინჯათ, ეგებ უკეთესი გამოსულიყო.

**ელვას** (ქუთ. გამსახლი). თუ მართლაც (ჩვენ ეჭვი არ შეგვედის) გამსახლის უფროსი კირილე წივწივაძე ასე იქცევა:

პატიმრებს სცემს და აგინებს,
ვით ჟანდარმი ნიკოლოზას.
მასთან ქალი როცა შევა,
სხვანაირსა იჭერს პოზას.
თუ მიზანს ვერ მიაღწია,
ტუსაღს არც კი გააკარებს...
შავსიელს და მევახშეებს
ის გამსახლის უღებს კარებს...

ადვილია მისთვის როლის გამოცვლა,— ამისთვის მას არ მოუწევს შორს წასვლა, მანდვე აქვს გამსახლი.

**თამამს** (ქუთ. „ტექსტილტორგი“). ამონაწერიც საკმარისია, რომ მუშგლეხინმა ყურადღება მიაქციოს:

„ტექსტილტორგში“ ვინ არ იცნობს
ლობჟანიძე პეტრეს.
„საქონელი ჩვენც მოგვეცით!—
პეტრეს, შეევედრენ.
თუ გადამჩა უარს არ გეტყვით!—
პეტრემ უპასუხა.
ნეტა ვისი წყალობით სდგას
პეტრე როგორც მუხა.

ცული (ამ შემთხვევაში—რევიზია) პატარაა, მაგრამ დიდსა და ძირგამდგარ მუხასაც წამოაქცევს.


„საქართველოს აბრეშუმი“-ს
ქუთაისის ოლქის
## სარწმუნებულო

1. აწყობს ორგანიზაციებს—პრაქტიკული მეაბრიშუმეობის შემსწავლელ წრეებისას,
2. ამზადებს ინკუბისტებს—ხელოვნურად აბრეშუმის ჭიის გაცხოველების მცოდნე კადრს ამით აძლიერებს.
3. აბრეშუმის ჭიის თესლის განაწილების გეგმებს ადგენს—და უკანასკნელი საზრისიანი გაშლით მოახლეებილია სოფელს.
4. ა/წ. გამოაცხოველებს და ოლქში დაარიგებს 34.000 კოლოფ თესლს.
5. აგრო-ინსტრუქტაჟით უხელმძღვანელებს ოლქში აბრეშუმის ჭიის რაციონალურად გამოკვებას და მოვლას.
6. ასოც ჰექტარ მიწის ნაკვეთებს დაამუშავებს, დარგავს 3.400.000 ჩითილას, რომელსაც შემდეგში 2 წ. სახით დაურიგებს მეაბრიშუმეებს, რითაც თუთის ფოთლის მარაგს—გაადიდებს ოლქში.
7. დაამზადებს 30 ჰექტარ მიწას და დათესავს თუთის თესლს ვღებულობთ 18.000.000 ჩითილს.
8. ვაწყობთ საბჭოთა მეურნეობას—5 ადგილას ოლქშიდ 150 ჰექტარ მიწაზე და თუთის ცლანტაციებს.
9. ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას, აწყობს თათბირებს, და თუთის ხის სწორი მოვლა კულტურის ცოდნის გავრცელების და აბრეშუმის ჭიის ნორმალური გაცხოველების და იმის მოვლა გამოკვების რაციონალურ წესების და მეთოდების გავრცელებით მეაბრიშუმეობის დარგში ამაღლებს ცოდნას და ხელს უწყობს საწარმოო მეაბრიშუმეობის განვითარების გაფართოებას—საბოლოო მიზნით ხარისხის აწევით ადიდებს ნედლეულის ბაზას.

ქალ. ქუთაისი მე-III-მე ინტერნაციონალის ქუჩა № 5.

# ქუთაისის საოლქო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება

ინტერნაციონალის ქუჩა № 47.

აერთიანებს შემდეგ საწარმოო წერტებს:

## 1. ქუთაისის, ხონის და ხარისთვლის ხე-ტყის სახერხი ქარხნები.

აწვდის დაწესებულებებს და ორგანიზაციებს სხვადასხვა ზომის და ხარისხის ხე-ტყის მასალას.

## 2. ქუთაისის, მოწამეთის და მოლითის კირის ქარხნები:

**რომლის—ხარისხი ყველასათვის საკმაოდ ცნობილია.**

## 3. მექანიკური სახელოსნო:

პ უ შ კ ი ნ ი ს ქ უ ჩ ა № 18.

ღებულობს ყოველნაირ დაკვეთებს, ძრავების და ქვაბების დადგმას და აწყობას და აწარმოებს ყოველგვარ სასოფლო სამეურნეო იარა-ლების შეკეთებას და ახლების გაკეთებას.

## 4. კონიაკის ქარხანა „მ ე რ ც ხ ა ლ ი“.

ქ ა ლ ა ქ ზ ე ს ტ ა ფ ო ნ შ ი.

კონიაკი, სპირტი, არაყი, ღვინო და, სპეციალურად დამზადებული „შ უ შ ხ უ ნ ა“.

## 5. სამტრედიის და ტევრის (შორაპანი) აგურის ქარხნები.

**გამომუშავება წლის განმავლობაში 8,000,000 ც.**

## 6. ს ტ ა მ ბ ა.

ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა № 15.

ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ა მ თ ე ლ ქ უ თ ა ი ს ი ს ო ლ ქ ს.

ღებულობს ყოველგვარ დაკვეთებს, როგორიცაა: საკანცელარიო ნივ-თების, წიგნების, შტამპების, ბეჭდებისა და სხ.

## 7. ქვა სატეხების ექსპლოატაცია.

ინტერნაციონალის ქუჩა № 47.

დამზადება: მოზაიკის ქვები, ყოველგვარი საამშენებლო ქვები.

დაკვეთების თავის დროზე შესრულება უზრუნველყოფილია.

## საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოება

# საქსახვაჭრობა

**გამგეობა:** ტფილისი კეცხოველის ქ. № 5. ტელეფონი №№ 7-71, 20-89, 12-83, 24-22.

**განყოფილებები საქართველოში.**

ბათომში, ქუთაისში, ზესტაფონში, ჭიათურაში, წნორის-წყალში.

**განყოფილებები ს. ს. რ. კ.**

მოსკოვში, ხარკოვში, დონის როსტოვში და ბაქოში

ჯიშიანი ფრინველების გაშენება ახალქალ. და ტფილ. გარეუბ.—ნავთ. ქალაქში—საბჭოთა მეურნეობა.

### სავაჭრო წერტები ტფილისში.

| | | | |
|---|---|---|---|
| მაღაზია № 1—რკინა-კავეული საქონლის | პუშკინის ქ. | ტელეფონი 7-10. |
| „ № 2—უნივერსალური (გალანტერეია, ფეხსაცმელი, შეკერ. ტანისამოსი. | კომინტერნის ქ. | „ 11-70. |
| „ № 3—რკინა-კავეული და სალებავი საქონელი | პუშკინის ქ. | „ 16-56. |
| „ № 4—ჭურჭლეული და საოჯახო საქ. (ბითუმათ) | სომხის ბაზარი | „ 13-02. |
| „ № 5—უნივერსალური (ფართლ. გალანტ. ფეხსაცმელი და კავეული) | ვაგზლის ქ. | „ 22-81. |
| „ № 6—გალანტერეია, ჭურჭლეული, ფეხსაცმელები და სხვა | ბზის მოედანი | „ 15-61. |
| „ № 7—გალანტერეია-ქსოვილები, შეკერ. ტანისამოსი (ბითუმათ) | სომხის ბაზარი 62 | „ 13-02. |
| „ № 8—შ პ ა ლ ი ე რ ი | რუსთაველის პრ. | |
| „ № 9—ჭურჭლეული და სხვა საოჯახო საქონელი | თავისუფლების მოედანი. | |
| „ № 10—მინის და სარკეების კანტორა | თავისუფლ. მოედ. | ტელეფონი 18-94. |
| „ № 11—ჭურჭლის და ავეჯეულობის | ნერსესოვის ქ. № 4. | „ 7-18. |
| „ № 12 ტყავეულის და ფურნიტურის | თათრის ბაზარი № | „ 5-82. |
| „ № 13—სასურსათო და საბაკალეიო საქონელი (ბითუმათ) | ვაგზლის ქ. № 2 | „ 24-74. |
| ცენტრალური საწ. საბაზისო განმანაწ. პუნქტი | კლარა ცეტკინის ქ. № 133 | ტელეფ. 15-19 |

## ქუთაისის განყოფილება

წულუკიძის ქ. № 55.

### სავაჭრო წერტები ქუთაისში:

| | | |
|---|---|---|
| მაღაზიები №№ 1, 2, 4 ფართლეული, რკინის-კავეული, გალანტერეია, ტყავეული, საბაკალეიო და სხვა | წულუკიძის ქ. № 65. |
| მაღაზია № 2 ჭურჭლეული, ავეჯეულობა, საბაკალეიო და სხვა | ლიბკნეხტის ქ. |

**საქსახვაჭრობა აგრეთვე აწარმოებს ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციას.**

**გარდა ამისა** საქსახვაჭრობასთან დაარსებულია „**მრეწვმშენმომარაგება**“ რომელიც აწარმოებს მრეწველობის და მშენებლობის მომარაგებას სამრეწველო და საამშენებლო მასალებით.



პ ი რ ვ ე ლ ა პ რ ი ლ ი დ ა ნ

**ქ. ქუთაისში** სახელმწიფო ბანკის ქვედა სართულში **გაიხსნა**

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ რ ო მ ი ს

# შემნახველი სალარო

**როგორც ხელმძღვანელი ორგანო ქუთაისის ოლქში.**

ს ა ლ ა რ ო ს თ ა ნ გ ა ხ ს ნ ი ლ ი ა

**საოპერაციო ნაწილიც**

Ц 345
1930



# ძველი ქუთაისის მეტყველი ძეგლები



ჭადარი (ბაგრატის ტაძრის ნანგრევს): ძმობილო, რა დროს მოვესწარით!.. ქუთაისს ვეღარ ვცნობილობთ....

რედ. სარედაქ. კოლეგია, გაზ. „მუშას" გამოცემა მთავლ. № 1319.
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.